ივნისი

რეკომენდაცია

- ✓ დაავადებების კონტროლი
- ✓ არა... ანტიბიოტიკებით „პროფილაქტიკას“
- ✓ დაავადების შემთხვევაში იმოქმედეთ ვეტერინარის კონსულტაციის შესაბამისად
- ✓ ვაროას ტესტი
- ✓ მთა-ბარობას სანამ დაიწყებდეთ, გაარკვიეთ ხომ არ იქნება მთა-ბარობის ადგილი გადატვირთული ფუტკრის ოჯახებით, გაითვალიწინეთ ფუტკრის ოჯახების მაღალი კონვენტრაცია, ყველას უმოსავლდ დაგტოვებთ და ასევე დაავადების რისკიც იზრდება
- ✓ მოახდინეთ მთა-ბარობის ადგილის წინდაწინ შესწავლა თაფლოვანი მცენარეების ცენოზზე.
- ✓ ახალი დაწურული თაფლის შენახვა დიდი მოცულობის ჭურჭლებში.
- ✓ საფუტკრის ჟურნალის წარმოება

შესასრულებელი სამუშაოები

- ➢ ტესტი ვაროაზე; თუ 100 ფუტკარში ვაროას რაოდენობა ≥3-ზე, შესაბამისი პრეპარატით ვაროაზე დამუშავება მოქმედი ნივთიერების გათვალისწინებით
- ➢ მთა-ბარობისათვის მზადება
- ➢ ამანათ-ნაყრების შექმნა
- ➢ ყვავილის მტვრის შეგროვება
- ➢ ფუტკრის რძის შეგროვება
- ➢ საჭიროებისდა მიხედვით დედების შეცვლა
- ➢ თაფლის წურვა. დაწურულ თაფლს ვასხამთ დიდი მოცულობის ჭურჭლებში (100ლ , 200ლ და ა.შ.) რომელსაც ფსკერთან ახლოს დამონტაჟებული აქვს ონკანი, რომელშიც ვაყოვნებთ თაფლს და შემდგომ ჩამოვასხამთ მცირე მოცულობის ჭურჭლებში (40ლ, 30ლ. 25ლ და ა.შ.), თაფლის ზედა ფენას, დახლოებით 10სმ-ზე გამოვიყენებთ საარაყედ